ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის სტუდენტი ანტალიის გრან პრის გამარჯვებულია !

ფოტო: ძიუდოს საერთაშორისო ფედერაცია

ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის პირველი წლის სტუდენტმა, **ძიუდოისტმა ლუკა მაისურაძემ** ანტალიაში მიმდინარე გრან პრიზე ოქროს მედალი მოიპოვა. ლუკა მაისურაძე (-81კგ) ფინალში იტალიელ კრისტიან პარლატის დაუპირისპირდა და იპონით დაამარცხა მეტოქე.

ლუკამ გადამაწყვეტ ბრძოლამდე, ნახევარფინალში ოლიმპიურ ჩემპიონს რუსეთის წარმომადგენელს ხასან ხალმურზაევს მოუგო, ხოლო მეოთხედფინალში ოლიმპიურ პრიზიორს, კანადელ ანტუან ვალუა-ფორტიეს სძლია.

ვულოცავთ ლუკას გამარჯვებას და ვუსურვებთ კიდევ მრავალჯერ გაახაროს ქართველი გულშემატკივარი!!!